საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

საფუძვნიერო სესია

მოხსენებათა თეზისები

თბილისი, 1999 1-3 ივნისი

„მემატიანე“
1999

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES

IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOGRAPHY

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ს ე ს ი ა

თბილისი, 1999 1-3 ივნისი

SCIENTIFIC SESSION

Tbilisi, 1999 1-3 JUNE

მოხსენებათა თეზისები
THESES

„მემატიანე“
1999

გამოხატულება, რომელშიც ასახულია ადამიანის არა ინდივიდუალური წარმოდგენები, არამედ თაობათა მიერ გამომუშავებული კოლექტიური შეხედულებები.

არქაულ ხელოვნებას ფუნქციონალური ხასიათი აქვს. იგი კონცეპტუალურია. მის უმთავრეს ამოცანას ობიექტის არსის წარმოჩენა, უნივერსალური, ადვილად შესაცნობი სიმბოლოს გადმოცემა შეადგენს. გამოყენებითი ხელოვნების ამ ძეგლებზე დატანებული ორნამენტი ან გამოსახულებანი გარკვეული აზრის მქონე ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ და განვიხილოთ ისინი, როგორც სემანტიკური სტრუქტურები, გარკვეული სემიოტიკური სისტემა, როგორც განუყოფელი მთლიანობა, ხოლო მისთვის დამახასიათებელი ევოლუცია–როგორც უწყვეტი შინაგანი ლოგიკის მქონე პროცესი.

არქაული ხელოვნება სიმბოლოების საშუალებით ხელშესახებ სახეს აძლევს იმას, რაც უხილავია და ამით, ადამიანი საკრალურ სამყაროში შეჰყავს. ამ ძეგლებზე წარმოდგენილი საგნები, ადამიანთა თუ ცხოველთა გამოსახულებანი, საკრალურ სფეროში რეალურად არსებულის „მაგივრობას“ სწევდნენ. ამით, ეს ხელოვნება, თავის უმთავრეს ამოცანას ასრულებს - აღბეჭდავს სამყაროს სურათს და გადასცემს ზუსტ ინფორმაციას.

გიული ალასანია

დავითის ისტორიკოსის ერთი ცნობის შესახებ

სელჩუკთა მიერ ანისის დაპყრობის შემდეგ 1064 წელს, გაგიკმა, რომელიც ყარსს 1029-64 წლების მანძილზე ინარჩუნებდა, ის ბიზანტიელებს გადასცა, ხოლო თეოდოსიუპოლის თემის გამგებელმა გრიგოლ ბაკურიანმა, თავის მხრივ, 1074 წელს-საქართველოს მეფეს, გიორგი II–ს. უკანასკნელმა

„აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა კარნიფორნისანი და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი“.მაგრამ ქართველების წარმატებები, როგორც ჩანს, ხანმოკლე იყო.

მანასკერტის ბრძოლაში ბიზანტიელების დამარცხების შემდეგ შექმნილმა ვითარებამ გააააქტიურა თურქების თავ-დასხმები ბიზანტიის კუთვნილ ტერიტორიებზე და მათი დაპყრობები, მათ შორის სომხების მიწების და საქართველოს მიმართულებით. ცნობა ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის შესახებ დავითის ისტორიკოსმა შემოგვინახა:„მათ ჟამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელსა გარედგომასა, დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად, ამირა ძლიერი და მგრიად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აეღო კარი. მოვიდეს ესენი შინაგანცემითა ქრისტეანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვ.“ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი დათარიღებულია 1074-1080 წწ. 1078-79 ან 1080 წლით, ხოლო ცნობაში მოხსენიებული თავდამსხმელები -თურქ-სელჩუკებად არიან მიჩნეული.

XI საუკუნის დასასრულიდან 1178 წლამდე კაპადოკიაში დანიშმენდიანთა თურქული დინასტია იყო დამკვიდრებული, თუმცა მათი თავდასხმები აღნიშნულ ტერიტორიაზე უფრო ადრე დაიწყო. ცნობები დანიშმენტიანდა დინასტიის შესახებ შე-მოგვინახეს ბიზანტიურმა, სომხურმა, სირიულმა, არაბულმა, თურქულმა ზეპირმა და წერილობითმა ძეგლებმა. მაგრამ იმის გამო, რომ წყაროთა მონაცემები ფრაგმენტული ხასიათისაა და ამასთანავე ერთმანეთისაგან განსხვავებული, ბევრი რამ მათ ისტორიაში დღესაც დაუზუსტებელი და საკამათო რჩება. გან-საკუთრებით ბუნდოვანია დინასტიის პირველი წლები. აზრთა სხვადასხვაობაა დინასტიის დაარსების თარიღზე, მისი დამა-არსებლის მოღვაწეობის წლებზე, ეთნიკურ კუთვნილებაზე, სახელზე და სხვ.

ემირ დანიშმენდის გაიგივება ლიპარიტ ბაღვაშის შვილთან რატისთან (ს. ერემიანი) არ არის გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. გარბუზოვა, კ. იუზბაშიანი). ეჭვქვეშ არის დაყენებული (ი. მელიქოვი) ზეპირი ტრადიციაც, რომელიც

დინასტიის დამაარსებელს აჰმედის სახელით იცნობს. ერთ-ერთი აზრით, ემირ დანიშმენდი, აჰმედი და გიუმუშთეგინი ერთიდა-იგივე პირია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დანიშმენდიანთა სახელი უცნობი არ არის, თუმცა მათ რაიმე კავშირზე და შეხვედრაზე ქართველებსა და საქართველოსთან ყურადღება არავის მიუქ-ცევია, მიუხედავად იმისა, რომ ეპიკური ტრადიცია აღნიშნული დინასტიის ისტორიაში ქართველებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს და სომხებთან და ბიზანტიელებთან ერთად მის ძირი-თად დაპირისპირებულ ძალად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ „დანიშმენდ-ნამეს“ მთავარი გმირი ქართველის მიერ მიყენე-ბული ჭრილობით იღუპება. თვივ ეს ძეგლი მნიშვნელოვან რეალურ საფუძველს ემყარება, რაც, ცხადია, შერწყმულია გამო-გონილ პასაჟებთან.

მოხსენებაში გაზიარებულია ვარაუდი, რომ დავითის ისტორიკოსთან მოხსენიებული თურქი ამირა აჰმედი დანიშ-მენდიანთა დინასტიის დამაარსებელია, რაც ზრდის ამ წყაროს სანდოობის ხარისხს. ამავე დროს განსახილველი ცნობა ადასტურებს, რომ დანიშმენდიანთა დინასტიის დამაარსებლის სახელი მართლაც აჰმედი იყო, ვენაიდან აღნიშნულ ტერიტორი-ებზე თავდასხმები იმ წლებში, სხვებთან ერთად, და უფრო მეტად, მის სახელს უკავშირდება.

დავითის ისტორიკოსის ცნობა დანიშმენდიანთა დინასტიის დამაარსებლის შესახებ ერთ-ერთი ადრეულია და ამასთანავე სანდო. ის ერთგვარად ავსებს იმ ხარვეზს, რაც ყველა დანარჩენ წყაროს ახასიათებს დანიშმენდიანთა პირველი წლების გაშუქებისას. აღნიშნული დინასტია ერთხანს მეტოქეობას უწევდა რუმის სულტნებს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ისლამური და ქრისტიანული სამყაროს დაპირისპირებაში და მისი ისტორია საყურადღებოა საქართველოს წარსულის თვალ-საზრისითაც.

ბრეტა ჩანტლაძე

ბასკური ელემენტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში

ბასკების ძირითადი ნაწილი მოსახლეობს ესპანეთსა და საფრანგეთში (დაახლოებით 800 ათასი ესპანეთში, 130 ათასი საფრანგეთში).250 ათასამდე ბასკი ცხოვრობს ლათინური ამერიკის ქვეყნებში. XVI-XVII საუკუნეებიდან მოყოლებული ბასკები ჯგუფ-ჯგუფად მიემგზავრებოდნენ მშობლიური კუთხეებიდან ამერიკაში. ისინი ირეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, ამიტომ ხალხის აღწერებში უჩინარდებოდნენ. უფრო გვიანდელი ემიგრანტები ათეულ ათასებს აღწევდნენ. დღეს ემიგრანტი ბასკების ნაწილი ცხოვრობს ბრაზილიაში, მექსიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოლივიაში, ურუგვაიში. მოგვიანებით, კერძოდ 1865–71 წლებში, რესპუბლიკის დაცემის და ბასკეთში ავტონომიური მოძრაობის ჩახშობის შემდგომ ნაწილი ბასკებისა გადასახლდა მონტევიდეოში, არგენტინასა და მექსიკაში, სადაც მათ შექმნეს ეროვნული ორგანიზაციები და საკუთარი პრესა. ძირითადი მიზეზი ბასკთა ემიგრაციისა მაინც სახნავ-სათესი მიწების უკმარისობაა, რაც გამოწვეულია ბასკეთის გეოგრაფიული მდგომარეობით (ბასკები ძირითადად მოსახლეობენ მთაგორიან ადგილებში, მეტადრე ესპანეთში).

სხვადასხვა ბასკური პროვინციებიდან ჩამოსულმა ბასკებმა ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი დიალექტები, ამის გამო გაჩნდა საერთო ბასკური ენის ჩამოყალიბების აუცილებლობა, სტიქიურად ჩამოყალიბდა ე. წ. „ამერიკის ბასკთა ენა“, რომელიც წინ უსწრებს საკუთრივ ბასკეთში საერთო სახალხო ბასკური ენის Euskara batua-ს ჩამოყალიბებას (იგი ჩამოყალიბდა ამ საუკუნის 70-ან წლებში). ამერიკის ბასკებში ბასკური ენა თანაარსებობდა ესპანურ ენასთან, რასაც ვერ

ვიტყვით ესპანეთის ბასკების ენაზე, რომელიც გენერალ ფრანკოს რეჟიმის დროს სასტიკად იკრძალებოდა.

ამერიკელმა ბასკებმა გაამარტივეს ბასკური ენის გრამატიკა რთული გრამატიკული კატეგორიებისაგან და შეუქმნეს ბავშვებს სასკოლო სახელმძღვანოები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის სრულყოფილად შესწავლილი „ამერიკის ბასკების ენის სტრუქტურა“

ლათინური ამერიკის ბასკებმა თან წაიღეს ბასკური ტოპონიმები, ანთრონიმები, ჰიდრონიმები, ხშირად შეხვდებით ბასკური წარმოშობის მდინარისა თუ მთის სახელწოდებებს. აქაურ ბასკებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ძირძველი გვარები, ცდილობენ მოერიდონ შერეულ ქორწინებას (თუმცა არც უმაგისობაა).

ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში–ბოლივიაში, ბასკთა შედარებით უფრო მცირერიცხოვანი დასახლებაა წარმოდგენილი. იქაურ ბასკების აზრით, ლათინური ამერიკის ნაციონალური გმირი, ლიბერტადორი – სიმონ ბოლივარი ბასკური წარმოშობისაა, ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია სიმონ ბოლივარის ვენესუელური წარმოშობა. ესპანურენოვან და ბასკურენოვან საისტორიო ლიტერატურაში მოვიძიეთ შრომები, სადაც არის მსჯელობა სიმონ ბოლივარის წარმოშობის შესახებ. (J- Iribarne „ S .Bolivar libertados y finador de puellos ,“ 1983 წ.ბილბაო; „ J . Oroz-sobre el appellido Bolivar“,1983, ტუბინგენი. Garaikoetxia -„ Homenaje del ?ais Vasco ten Bolivar“, 1975, ბილბაო . G .de Abrisqueta „? vasco y Bolivar “- Boletin del Institudo Americano de estudios Vaskos-ბუენოს აირესი,1984, №35, 1985, №37).

ჩვენეული ინტერპრეტაციის მიხედვით Bolivar–ში bolin უნდა იყოს ბასკურად „წისქვილი“, რომელიც თავის მხრივ მიმდინარეობს ლათინური ძირიდან molin (m–ს b–ში გადასვლა ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესია, ორივე ბაგისმიერი ბგერებია), ivar//ibar ბასკურად ნიშნავს „მდინარის ნაპირს“. შეადარეთ ბასკური გვარი Ibaruri, სადაც–ibar ნიშნავს მდინარის

ნაპირს“, uri სალიტერატურო ბასკურში ნიშნავს „წყალს“, ხოლო ბასკური ენის ბისკაიურ დიალექტში, რომელიც საფუძვლად უდევს სალიტერატურო ბასკურს, uri არის „ქალაქი“. ე.ი. „ქალაქი მდინარის პირას“. ასეთია გვარის–Ibaruri–ს ეტიოლოგია. ivar, ibar პარალელური ფორმები გვხვდება ბასკურში ზემოთაღ-ნიშნული მნიშვნელობით. თუ Ibaruri ბასკურად ნიშნავს „ქალაქს მდინარის პირას“, bolivar//bolibar–უნდა ნიშნავდეს „მდინარის ნაპირზე მდგარ წისქვილს“. საკუთრივ ტოპონიმი Bolivar–ი ბასკეთში გვხვდება დასახელებული პუნქტის აღსანიშნავად, სადაც რამდენიმე წყლის წისქვილია მდინარე ებროზე (ესპანეთის ბასკეთში).

Bolivar–ის ჩვენეულ ეტიმოლოგიას იზიარებს ბასკოლოგი, პროფ. იური ზიცარი, სიმონ ბოლივარის ამერიკელი მკვლევარები მაინც უპირატესობას აძლევენ მის ვენესუელურ წარმოშობას, მათ მიაჩნიათ, რომ ეს გვარი არსებობდა ლათინურ ამერიკაში ბასკების ემიგრაციამდე. შესაძლებელია უფრო ადრე ესპანელებმა ჩაიტანეს ამერიკაში ეს ტოპონიმი, რომელიც შემდგომ სიმონ ბოლივარის წინაპრების გვარს დაედო საფუძვლად.

ალექსანდრე დაუშვილი

ახალი საარქივო ცნობები ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიისათვის

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება ი.ბ.სტალინის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველი უცნობი დოკუმენტები, რომლებიც სრულიად ახლებურად წარმოაჩენენ ამ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის პიროვნული ფორმირების მეტად საინტერესო ეტაპს–ბავშვობასა და ყრმობას.

წლების განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფია ი.სტალინის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდზე მსჯელობისას ძირითადად ეყრდნობოდა ი.სტალინის ბავშვობის მეგობრების პ. კაპანაძის, დ. გოგოხიას და გ.გლურჯიძის მოგონებებს. შემონახულია ი.ჯუგაშვილის თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდის საკლასო ჟურნალები /ყველა/, რაც ამტკიცებს, რომ აღნიშნული მეგობრები მისი თანაკლასელები არ იყვნენ და მათი შემდგომდროინდელი მოგონებები მხოლოდ სხვების გადმოცემებს შეიძლება ეყრდნობოდეს და ისინი კრიტიკულ მიდგომას საჭიროებენ.

ი.ჯუგაშვილის თანაკლასელი იყო ი.ირემაშვილი, რომელმაც თავისი მოგონებების წიგნი:„სტალინი და ქართველი ერის ტრაღედია“ გერმანიაში გამოაქვეყნა 30–იან წლებში. მისი ნაშრომი მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ, ამასთან, ბევრია სუბიექტური შეცდომა და არასწორი დაკვირვება.

საისტორიო არქივში ინახება სემინარიის ჟურნალი: „აღმზრდელების ქცევაზე ინსპექტორების დაკვირვების ჩანაწერთა წიგნი,“სადაც ფიქსირდებოდა სემინარიის კანონების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა. აქ, 1894–1899 წლებში გაკეთებულ ჩანაწერებში დაახლოებით 33–ჯერ არის მოხსენებული ჯუგაშვილის გვარი. შენიშვნები გაკეთებული აქვთ ინსპექტორებს: ა.რუავსკის, ც.ივანოვსკის, მურხოვსკის, დიმიტრიევს.

პირველი ჩანაწერი გაკეთებულია 1894 წლის 21 ოქტომბერს – ი.ჯუგაშვილის სემინარიაში მისვლის ორი თვის შემდეგ. მან ინსპექტორის ყურადღება მიიქცია ღამით ლოგინში მეგობრებთან ხმამაღალი საუბრით და ანცობით.

ინსპექტორების ჩანაწერები მეტად ტევადი ინფორმაციის მატარებელია, დაფიქსირებულია ახალგაზრდის ქცევის სხვადასხვა მხარე. ყველაზე მეტი რაოდენობა ჩანაწერებისა /16 დოკუმენტი/ მოდის სემინარიის კანონით გათვალისწინებული ქცევის წესების დარღვევებზე; შემდეგ: საეკლესიო ღვთისმსახურებისადმი გულგრილი დამოკიდებულება /9 დოკუმენტი/,

აკრძალული წიგნების კითხვა /3 დოკუმენტი/, სამღვდელოების წარმომადგენლისადმი უპატიური დამოკიდებულება /1 დოკუ-მენტი/, პროტესტული გამოხატულება სემინარიაში არსებული ჩხრეკისა და მოსწავლეთა დევნის ბარბაროსული წესის წინააღმდეგ /1 დოკუმენტი/, არის მასალა, რომელიც ტევად ინფორმაციას შეიცავს პიროვნების ხასიათისა /1 დოკუმენტი/ და ზნეობის /2 დოკუმენტი/ შესახებ.

არსებული დოკუმენტებიდან საისტორიო მეცნიერება იცნობდა მხოლოდ აკრძალული წიგნების კითხვასთან დაკავში-რებულ მასალას, ამდენად ახლად გამოვლენილი საარქივო მასალები საშუალებას მოგვცემენ სრულიად ობიექტურად გავაშუქოთ ი.ბ.სტალინის ბავშვობისა და ყრმობის საინტერესო პერიოდი.

ხათუნა ქოქრაშვილი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმიდეს სინოდში (1906)

1905–1906 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეა აქტუალური გახდა ქვეყანაში შექმნილი სოციალურ–პოლიტიკური და ეროვნული ვითარების შედეგად. ეს საკითხი განსაკუთრებით გამძაფრდა რუსეთის ეკლესიაში შექმნილი კრიზისის გამო, რამაც ხელისუფლების წინაშე წამოჭრა საკითხი რუსეთში პატრიარქობის აღდგინებისა და უწმიდესი სინოდის რეორგანიზაციის შესახებ.

ამგვარ ვითარებაში, ქართველმა სამღვდელოებამ და საზოგადოებრიობამ, თავის მხრივ, ხმამაღლა მოითხოვა რუსეთის ხელისუფლების მიერ უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ქართველი ხალხის ეს კანონიერი მოთხოვნა გამოიხატა უწმიდესი სინოდისადმი, აგრეთვე უმაღლეს საერო ხელისუფლებისადმი წარდგენილ ქართველ მღვდელმთავართა და საეპარქიო ყრილობათა პეტიციებსა და მოხსენებებში (1905–1906 წწ), ხოლო ამ ეკლესიის თვითმწყსობის დებულებანი და მართვის პრინციპები გადმოიცა ქართველ სამღვდელოთა მიერ შედგენილ „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტში"(1905 წ. დეკემბერი).

ქართველთა ამგვარი ძალისხმევის საფუძველზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი 1906 წლის იანვარში ოფიციალურად განიხილა რუსეთის უწმიდესმა სინოდმა. საქართველოს ინტერესები უწმიდეს სინოდში დაიცვეს ეპისკოპოსებმა კირიონ საძაგლიშვილმა და ლეონიდე ოქროპირიძემ. ქართველი მღვდელმთავრების მიერ უწმიდესი სინოდის „საგანგებო კომისიისადმი" წარდგენილ 5 მუხლს, –რომელშიც ეპისკოპოსები მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, როგორც უეჭველი ისტორიული აღდგენის კანონიური სამართლიანობის აღიარებას, აგრეთვე სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების საბოლოოდ დადასტურებას,–„საგანგებო კომისიამ" დუმილით გვერდი აუარა და საქართველოს ეკლკსიის რეორგანიზაციის თავისი პროექტი დაადასტურა. ამ პროექტით მან მიზანშეწონილად მიიჩნია ეტაპობრივად გაეუქმებინა საქართველოს საეგზარქოსო და საქართველო დაეყო დამოუკიდებელ ეპარქიებად.ეს იყო ეპარქიალურ ავტონომიას შეფარებული მცდელობა საქართველოს ეკლესიის დამცრობისა იერარქიულ რანგში, რასაც ორივე ეპისკოპოსმა პროტესტით უპასუხა.

უწმიდესმა სინოდმა ეკლესიის საკითხი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ თათბირებს გადასცა, რომელმაც ეს პრობლემა ცალკე საკითხად არ გამოყო და მიაკუთვნა „თათ-

ბირების" II განყოფილებას. იგი განიხილავდა საკითხებს რუსული მიტროპოლიებისა და ეპარქიალური ორგანოების შესახებ. II განყოფილების I სესია შედგა 1906 წლის ივნისში, ხოლო II სესია გაგრძელდა 1906 წლის ნოემბერ–დეკემბერში. საქართველოს ეკლესიის ინტერესებს გამოხატავდნენ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე, ქართველი პროფესორები: ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი და ნ. მარი; რუსი მეცნიერები: ი. სოკოლოვი, ნ. ზაოზერსკი და ი. პალმოვი.

ეპისკოპოსმა კირიონმა თათბირების II განყოფილებას წარუდგინა ოთხი მოხსენება: 1) ქართული საეკლესიო საკითხი, 2) რა აიძულებთ ქართველებს იბრძოლონ თავიანთი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, 3) რომელ ეკლესიას მიენიჭა ავტოკეფალია XI ს–ში, 4) ეროვნული პრინციპი ეკლესიაში. მათში გადმოიცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ყველა საფუძველი: ისტორიული, ეკლესიურ–კანონიკური .და პრაქტიკული. ამით უარყო ოპონენტთა არგუმენტები, რომელთაც ეჭვის ქვეშ დააყენეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა ისტორიული თვალსაზრისით, ამავე დროს, ოპონენტებმა გვერდი აუარეს საკითხის საეკლესიო თვალსაზრისით განხილვას და მსჯელობა პოლიტიკურ სიბრტყეში გადაიტანეს, რაც თათბირების კომპეტენციაში არ შედიოდა.

სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი თათბირების ბოლო სხდომებზე, რომელსაც პროტესტის ნიშნად ქართველთა არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა, მიღებულ იქნა დეკანოზ ო. ვოსტორგოვის პროექტი, საეგზარქოს ნაცვლად მიტროპოლიის შექმნის შესახებ.

ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ამჯერად ქართველთა მარცხით დამთავრდა. 1905–1906 წლებში დაწყებული ბრძოლა არ შეწყვეტილა და 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აქტით დაგვირგვინდა.

ავთანდილ სონღულაშვილი

ქურთების ყოფა-ცხოვრება XX ს-ის 20-იანი წლების საქართველოში

ქურთები ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში XVI საუკუნიდან ცხოვრობენ. ისინი უმთავრესად დასახლებული არიან თბილისსა და ბათუმში. 1926 წლის აღწერით საქართველოში მათი რაოდენობა 10217-ს უდრიდა.

თბილისში ქურთების გამოჩენასთან ერთად გაჩნდა ახალი იეზიდების კონფესია, რომელიც XX ს-ის 20-იანი წლებისათვის 1,5 ათას კაცს ითვლიდა. 1930 წლის აღწერის მასალებით უკვე იხსენიებიან ცალკე ქურთები და ცალკე იეზიდები. რელიგიური კუთვნილების მიხედვით, საქართველოს ქურთები იეზიდები არიან. მათი შეგნებით იეზიდობა ეროვნული ვინაობის გამომხატველია.

თბილისში ქურთები ცხოვრობდნენ კომპაქტურად, უბნობრივ, ხარფუხის გაგრძელებაზე-ორთაჭალაში ბერძნების გვერდით. ასევე გაფანტულად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

20-იან წლებშიც კი ქურთები იყოფოდნენ ტომებად და გვარებად. თითოეულ მათგანს ყავდა თავისი მამამთავარი-უფროსი, რომელსაც ემორჩილებოდა გვარის ყველა წევრი. საქართველოში მცხოვრები ქურთები იყოფოდნენ 4 ტომად:1. ზუკრი (ოსმალეთიდან), 2.სიპიკი (ყარსიდან), 3. ოსინი (სურმალელები) და 4. როშკა; ეს ტომები თავის მხრივ იყოფოდნენ გვარებად. სულ იყო 39 გვარი. გვარები ატარებდნენ ცხოველების, მცენარეების, იარაღის, მზის და სხვ. სახელებს. მაგალითად, „ფიზალი“ ნიშნავს მშვილდისარს, „რაჟი“-შავს, „დისანა“-ნამგალს, „მანდეკა“- მწვანე ბალახს, „ჩაკოია“- იარაღს,

„როშკა“ მზიანს, „ტუშკა“– მჭედელს, „კაბალკა“– ჭრელ ხარს და სხვ.

თბილისში მცხოვრები მეეზოვეები თითქმის ყველა ქურთები იყვნენ, ძირითადად კაცები, ზოგჯერ ცოლ–ქმარი. მაშინ ისინი ქალაქს ბევრად „აჩნდნენ“, ვიდრე ახლა, რაკი ისეთ ფუნქციებსაც ასრულებდნენ, რომლებიც ახლა აღარ ეკისრებათ: ღამით (მთელი ღამე) მორიგეობდნენ ქუჩაში და დროდადრო სასტვენით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს. ასე, რომ ქუჩა მათი მუდმივი მეთვალყურეობის საგანს შეადგენდა.

ქურთებში წერა–კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 1–2 პროცენტს უდრიდა. ახალციხის მაზრისა და თბილისის მთელ ქურთულ მოსახლეობას ჰქონდა მხოლოდ 2 სკოლა და 1 კლუბი. ერთ სკოლაში ასწავლიდნენ ე. წ. ქურთული ანბანით, რომელიც ქურთი პედაგოგის შედგენილი იყო, მეორეში–თურქულით. სკოლებში მოსწავლე ბავშვების რიცხვი უმნიშვნელო იყო. 12 000 მოსახლეზე მოდიოდა სულ 100 მოსწავლე.

ანტონ ლეჟავა

კიევის სამხედრო აჯანყება 1907 წლის 14 ივნისს და მასში ქართველთა მონაწილეობის შესახებ

ქართველთა და უკრაინელთა ხალხების მეგობრობის ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მას დიდი ტრადიციები გააჩნია და იგი იწყება ჯერ კიდევ XI–XII საუკუნეებში.

ქართულ–უკრაინული ურთიერთობის განვითარებაში გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს XVIII საუკუნე, როცა ბევრი ქართველი პატრიოტი, რომელიც იბრძოდა თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის თურქეთ–ირანის აგრესიის წინააღმდეგ, იძუ-

ლებული იყო თავშესაფარი რუსეთში ეძიათ. მრავალ მათგანს, რომლებმაც 1738 წელს მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა მიეცათ მიწები უკრაინაში, სადაც მეორე სამშობლო შეიძინეს.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთებამ კიდევ უფრო დააახლოვა ქართველი და უკრაინელი ხალხები.

როგორც ცნობილია, ამ დროს კავკასიაში, კერძოდ საქართველოში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. მეფის ხელისუფლება წინააღმდეგი იყო გაეხსნა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები, ამიტომაც ქართველები ცოდნის მისაღებად მიდიოდნენ რუსეთისა და უკრაინის ქალაქებში.

მრავალი ქართველი სტუდენტი სწავლობდა უკრაინის ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში–კიევში, ხარკოვსა და ოდესაში.

უკრაინაში მცხოვრები ქართველი სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში.

რუსეთის ჯარში, რომელიც დისლოცირებული იყო უკრაინის ტერიტორიაზე, სხვებთან ერთად სამსახურს გადიოდნენ ქართველი ჯარისკაცებიც.

არმიაში 1905–1907 წ.წ. პერიოდში ადგილი ჰქონდა არა ერთ რევოლუციურ გამოსვლებს, რომელთა შორის აღსანიშნავია კიევის სამხედრო აჯანყება 1907 წლის 4 ივნისს ღამით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აჯანყების შესახებ იმ პერიოდში ძალიან ცოტა დაიწერა (რევოლუციურ ლიტერატურაში), ხოლო არალეგალური პრესა კი საერთოდ არ გამოხმაურებია ამ აჯანყებას.

ამ აჯანყების შესწავლისა და მასში ქართველთა მონაწილეობის შესახებ, გარდა ჩვენს მიერ მიკვლეული საარქივო მასალებისა, პირველ წყაროს მნიშვნელობა აქვს ამ აჯანყების აქტიური მონაწილეების ა. ა. ტროიანოვსკისა და ი. ი. ზდროვეცის ნაშრომებს (მოგონებებს).

აჯანყების სათავეში იდგა 77–ე სელენგის პოლკის 1–ლი ასეულის ეფრეიტორი შევცოვი. აჯანყება, რასაკვირველია, მარცხით დამთავრდა.

კიევში 1907 წ. 4 ივნისის სამხედრო აჯანყების მონაწილე ქართველთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ივანე სიხარულიძე და ფილიპე მგალობლიშვილი. ისინი იყვნენ 41–ე სელენგინის ქვეითი პოლკის მე–8 ასეულის რიგითი ჯარისკაცები. რაც შეეხება სხვებს, ჩვენ ახალი საარქივო მასალების მოკვლევით მოვახერხეთ ზოგიერთი მათგანის ვინაობის დადგენა. ესენი არიან: ნიკოლოზ ტუღუში, გიორგი ალმასხანის ძე შათირიშვილი, კასიანე სიმონის ძე ჭანტურია, ვადაჭკორია და სხვ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდგომი მუშაობა, რომელიც უნდა ძირითადად წარიმართოს ახალი საარქივო მასალების მოპოვების ხაზით, ნათელს მოფენს კიდევ არა ერთ დღემდე უცნობ ფურცლებს და ისტორიას დაუბრუნებს ბევრ მივიწყებულ სახელს.

ნელი ბრეგაძე

აგრარული დღეობის შესწავლისათვის /თედოროობა/

კულტურის ისტორიის კვლევისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება უძველესი რწმენა–წარმოდგენების შსწავლას. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთვნება ხალხური აგრარული კალენდრის დღეობა–დღესასწაულები, რომელთა თავდაპირველი არსისა და მნიშვნელობის გამოვლენას შეუძლია სიცხადის შეტანა მათი თანდათანობითი ტრანსფორმაციისა თუ რელიგიური აზროვნების საფეხურების დადგენაში.

აღნიშნულ დღეობათაგან ყურადღებას იპყრობს კავკასიასა და ბალკანეთში ცნობილი თედორობა. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი განიხილებოდა როგორც მესაქონლეობასთან, უპირატესად ცხენთან, დაკავშირებული დღეობა. მოგვიანებით

კი, ქართული ეთნოგრაფიული მასალის გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა თედორობის ფართო აგრარული – სამიწათმოქმედო–მესაქონლური ხასიათი და თავად თევდორე, რომელსაც ეძღვნება ეს დღეობა, წარმოჩნდა როგორც წარმართული აგრარული ღვთაების ქრისტიანული მემკვიდრე.

თედორობის ირგვლივ კვლევის გეოგრაფიული არეალის გაფართოებამ და მის შესახებ დამატებითი /კავკასიური და ბალკანური/ მასალის მოხმობა–ანალიზის შედეგებმა საფუძველი გაუმაგრა ქართული ეთნოგრაფიული მასალის განხილვით მიღებულ, ზემონახსენებ დასკვნას; მეორე მხრივ, გამოკვეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წმ. თევდორეს სახით საქმე უნდა გვქონდეს პრექრისტიანულ ტყუპ ღვთაებათა წარმომადგენელთან.

მანანა შილაკაძე

მატერიალური მუსიკალური კულტურის მონაცემები ეთნიკური ისტორიის შესწავლისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება აღმოსავლურ–ქართულ მთის მუსიკალურ დიალექტში, კერძოდ მოხეურში, სვანიზმების არსებობის საფუძველზე მოხეური და სვანური მუსიკალური კულტურის უძველესი ერთიანობის შესახებ /ნ. მაისურაძე/.

აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს მატერიალური კულტურის მონაცემები, სახელდობრ, ცნობილი ბრინჯაოს ქანდაკება ყაზბეგის განძიდან, რომელზეც გამოსახულია მუსიკოსი საკრავით ხელში /თარიღდება ძვ. წ. VI ს–ით/. ამ ქანდაკებას ბევრი მკვლევრის ყურადღება მიუქცევია სხვადასხვა

თვალსაზრისით. მასზე გამოსახულ საკრავს მიიჩნევენ არფად, ლირად, ჩანგად. ჩვენი აზრით, ეს არის სტილიზებური არფისებური საკრავი, რომელიც სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე შეორჩენილ სიმიან საკრავ ჩანგს ენათესავება და საქართველოში ამ საკრავის ტრადიციის უწყვეტელობაზე მიუთითებს.

ბრინჯაოს ამ ქანდაკების კომპოზიციაში არის დეტალები, რომელთაც რიტუალური ფუნქციის მქონედ თვლიან / დ. ალავიძე, ნ. რეხვიაშვილი /. ეს დეტალები, როგორც რელიქტი, შენარჩუნებულია სვანური ჩანგის ზოგიერთი ნიმუშის დეტალების სახით, რაც აქამდე აღნიშნული არ ყოფილა.

ლიანა ბერიაშვილი

სოციალური ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები

ტერმინი ეკოლოგია მეცნიერულ მიმოქცევაში შემოვიდა XIX ს–ის მეორე ნახევრიდან. მისი შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა ცოცხალი ორგანიზმების პოპულაციები, სახეობები და ეკოსისტემები.

მე–20 საუკუნის 70–იანი წლებიდან ყალიბდება სოციალური ეკოლოგია,_რომელიც შეისწავლის ადამიანთა საზოგადოებისა და გარე სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებათა კანონზომიერებას. ამიერიდან, ეკოლოგიური მეცნიერების წინაშე დგება ამოცანა – შეისწავლოს და გაანალიზოს ამ დარგის არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო სფერო, არამდე მისი სოციალურ–ეკონომიკური, სოციოოლოგიური და ტექნოლოგიური ასპექტები.

სოციალური ეკოლოგიის პრობლემატიკა გაშუქებულია მრავალი დარგის გამოკვლევებში. ვითარდება ახალი მიმართუ-

ლებები, როგორიცაა სამედიცინო ეკოლოგია, ტექნიკური ეკოლოგია, ეკოლოგიური პოლიტიკა, „სულის ეკოლოგია“ და ა. შ. იგი მოიცავს საზორგადოებრივ მეცნიერებათა ისეთ დარგებს, როგორიცაა ფილოსოფია, პოლიტეკონომია, ფსიქოლოგია; ტრადიციული სამეურნეო სფეროდან – მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, სატყეო მეურნეობა, თევზის სარეწი მეურნეობა და სხვ.

ეკოლოგია უშუალო შეხებაშია ისეთ ჰუმანიტარულ დისციპლინასთან, როგორიცაა ისტორია, კერძოდ კი ეთნოლოგია. ყველა ეს მხარე, რაც ეხება ადამიანის ყოფასა და ბუნებასთან მის ურთიერთდამოკიდებულებას, ბუნებაზე ზემოქმედებას – ეკოლოგიური კუთხით შეფასებას საჭიროებს. ხალხური ტრადიცია ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ადამიანის მიერ ბუნებაში მიმდინარე პროცესების ღრმა ცოდნით და ბუნების კანონებთან შეთანაწყობის სრული სინქრონიზმით, რაც აყალიბებდა ბუნებათსარგებლობის მწყობრ სისტემას. ქართულ ეთნოლოგიურ სკოლას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ პრობლემის დამუშავებაში.

სოციალური ეკოლოგიის მიერ წინა პლანზეა წამოწეული ანმყოსა და წარსულის მიზეზ–შედეგობრივი კავშირის უწყვეტელობის ფაქტორი: მომავლის შენება არ შეიძლება წარსულის ღრმა ცოდნის გარეშე. სოციალური ეკოლოგია – ეს არის კაცობრიობის გლობალური სოციალურ–კულტურული მონაპოვარი, სადაც გარემოს ფაქტორთა ერთობლიობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული სოციალურ ურთიერთობათა სხავადასხვა ასპექტთან.

სოციალური ეკოლოგია არის განსაკუთრებული ზოგადსამეცნიერო მიდგომა ბუნებისა და საზოგადოების ცალკეული ობიექტების და პრობლემების კანონზმიერებათა ახსნისათვის; იგი ეხება სიცოცხლესა და არსებობის ყველა სფეროს, მათ შორის ადამიანთა საზოგადოებას და ადამიანთა მოღვაწეობას.

ნ. მინდაძე

ქართული ხალხური სამედიცინო კულტურის ჩამოყალიბების ერთი ასპექტისათვის

ტრადიციული ქართული მედიცინა აერთიანებს ქართველი ხალხის სამედიცინო აზროვნებასა და სამკურნალო გამოცდილებას, მოიცავს თვითმყოფად, ემპირიულ დაკვირვების საფუძველზე შექმნილ და არათვითმყოფად, სხვადასხვა გავლენების შედეგად მოსახლეობის სამედიცინო კულტურის მიერ მიღებულ, დროთა ვითარებაში ხალხურ ტრადიციად ჩამოყალიბებულ სამედიცინო ცოდნას.

ხალხური მედიცინის ეთნოლოგიური კვლევა გულისხმობს თვითმყოფადი სამკურნალო ტრადიციების შესწავლას,ხალხური სამედიცინო ტერმინოლოგიის, სამკურნალწამლო არსენალისა და სამკურნალო მანიპულაციების გამოვლენას, მათი თვითმყოფადობის დადგენას, მოქმედების მექანიზმის ახსნას და სხვ. ამავე დროს შეძენილი, ე. წ. გახალხურებული სამედიცინო ტრადიციების კვლევას.

ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერებისა და ხალხური მედიცინის მონაცემების ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა ამ ორი თვისებრივად განსხვავებული –ოფიციალური და ხალხური სამედიცინო ცოდნის ურთიერთკავშირი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხალხურ მედიცინაში აშკარად ჩანს ძველი ქართული ოფიციალური სამედიცინო თეორიისა და სამკურნალო ცოდნის გავლენის კვალი.

ოფიციალური სამედიცინო ცოდნის გავრცელება ხალხში ხდებოდა ძველი ქართველი ექიმების, არისტოკრატიისა და სასულიერო პირთა მიერ, რომლებიც ზეპირი ინფორმაციისა თუ პოპულარული სამედიცინო ლიტერატურის შედგენის გზით

ცდილობდნენ საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო კულ-ტურის ამაღლებას.

მედეა ბურდული

ხალხური მედიცინა XIX ს–ის II ნახევრის ქართული პრესის მიხედვით

XIX ს–ის II ნახევრის ქართული პრესა მნიშვნელოვანი წყაროა იმ პერიოდის ეთნოგრაფიული სურათის და ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენილი ძველი ტრადიციების შესასწავლად, ის საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ხალხური მედიცინის შესახებ.

ხალხური მედიცინის საკითხების გაშუქებით გამოირჩევა „ივერია", „დროება", „ცნობის ფურცელი", „სასოფლო გაზეთი", „საქართველოს კალენდარი" და სხვ. მათ ეთნოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციებში ვხვდებით ცნობებს „ემპირიულ–რა-ციონალურ" და „მაგიურ–რელიგიურ" სამკურნალო საშუალებ-ების შესახებ.

XIXს–ის პრესაში გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული წერილები გვაძლევს ინფორმაციას დაავადებათა ხალხური ეტი-ოლოგიის შესახებ, მათში ასახულია როგორც დაავადებათა გამომწვევი ობიექტური, რეალური მიზეზები, ისე რწმენა ნარმოდგენები რეალური მიზეზების შესახებ.

ზოგიერთი გამოცემის („სასოფლო გაზეთი", „საქართველოს კალენდარი") პუბლიკაციების ავტორები მიზნად ისახავენ ხალხში სამედიცინო ცოდნის შეტანას. მოსახლეობას აწვდიან იმ დროის ოფიციალური მედიცინის დონის შესაბამის ინფორმაციას ამა თუ იმ დაავადების აღწერილობა–სიმპტომს, პირველი დახ-მარების საშუალებებს და სხვ.

გაზეთების „ივერიის“, „დროების“, „ცნობის ფურცელის“ ეთნოგრაფიული წერილების ავტორები ხალხურ მკურნალთა საქმიანობის შეფასებასაც იძლევა. ავტორთა დიდი ნაწილი მათ საქმიანობას უარყოფითად აფასებს. ინტელიგენციის ნეგატიურმა დამოკიდებულებამ ხალხურ მკურნალთა მიმართ ქართულ ხალხურ მედიცინას დიდი ზიანი მიაყენა. ავტორთა ნაწილი კი ცდილობს ობიექტურად შეაფასოს მათი საქმიანობა. განსაკუთრებით აღნიშნავენ ტრადიციული სამკურნალო ცოდნით გამორჩეული გვარების სასარგებლო საქმიანობას, რომელთა ღვაწლი ქართული ხალხური მედიცინის განვითარების საქმეში სრულიად აშკარაა და ამას ადასტურებს თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემებიც.

მედეა ქანთარია

ტრადიციული ყოფითი კულტურის ისტორიული დინამიკა საქართველოში

ყოფითი და სოციოკულტურული პროცესების კომპლექსური კვლევის აუცილებლობა პირობადებულია მათი ფუნქციონალური მიზეზ–შედეგობრივი კავშირით, რომელიც რელიეფურად იკვეთება ეთნომახასიათებლების განვითარების პროცესში. ამდენად, ყოფითი სიტუაციების გააზრება, მათი თეორიული ანალიზი, შეუძლებელია ისტორიული თავისებურებებისა და საზოგადოების კულტურის შესაბამისი დონის გათვალისწინების გარეშე.

ცნების „კულტურა“ მრავალი განსაზღვრება არსებობს. აღნიშნული დეფინიცია, უფრო ზუსტად კი ყოფითი კულტურა ჩვენს მიერ გაიაზრება, როგორც ეროვნულ–ყოფითი თავისებურებების ეთნოფსიქოლოგიური გამოვლინება, რომელიც მტკიცდება თაობათა შორის ინფორმაციის გადაცემისა და მიღების მეშვეობით; ამდენად იგი ტრადიციულია.

ტრადიცია ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობებს გადაცემული ჩვევების, წესების, მოქმედების ნორმებია. იგი არ ექვემდებარება იურიდიულ რეგლამენტაციას და განისაზღვრება საზოგადოებრივი აზრის ძალით. ტრადიცია წარმოადგენს წინა თაობების ფასეულობათა ახალ თაობაზე გადაცემის მექანიზმს; ახდენს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს რეგულირებას. ტრადიციის ინოვაციებთან ურთიერთსინთეზში იქმნება სასიცოცხლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ყოფითი კულტურის ჩამოყალიბება.

საზოგადოების მიერ ბუნებრივი გარემოს ათვისება, მატერიალური ფასეულობის წარმოება, მოხმარება და განაწილება, როგორც ცნობილია, ყოველ ეპოქაში ხდება სოციალურად ორგანიზებული საშუალებით. დღევანდელ პირობებში აღნიშნული პროცესი ხორციელდება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მექანიზმისა და ბერკეტების მოქმედების გზით, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობაზე გარდამავალ შუალედურ ფორმას წარმოადგენს.

საქართველო თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე ბედის ირონიის წყალობით ორჯერ აღმოჩნდა კაპიტალიზმის ფორმალური სისტემის ზღურბლზე: პირველად რუსეთთან შეერთების შემდგომ, როდესაც ჩატარდა მიწისა და საგლეხო რეფორმა და რომლის შემდგომი განვითარება შეაფერხა სოციალისტურმა რევოლუციამ; მეორე კი თანამედროვე პირობებში პოსტკომუნისტურ ვითარებისათვის დამახასიათებელ სიტუაციაში. მიუხედავად ტიპოლოგიური მსგავსებისა ეს ორი სტადია ხასიათდება განხვავებული ყოფითი და სოციალ–ეკონომიკური მახასიათებლებით.

თავისუფალი საბაზრო ურთიერთობა, სოციალ–ეკონომიკური ფორმაციის ტოლფასი სისტემა ხასიათდება ინოვაციების მოჭარბებით, რაც იშვევს ტრადიციულ ყოფით კულტურაში სტრუქტურალურ ცვლილებებს. უტილიტალური მნიშვნელობის გარდა ხდება სიმბოლური ფასეულობების ტრანსფორმაცია, რომელთა მარკირება გამოიხატება წეს–ჩვეულებებსა და ქცევის ნორმებში, ეტიკეტში. ყოველივე ეს აისახება ენაშიც, სოციალუ-

რი ურთიერთობის სფეროში, რაც საბოლოოდ იწვევს პრაქტიკულ–ყოფითი და ფსიქოლოგიური მახასიათებლების ცვლილებებს.

ლევან გაბუნია

ქართული ღვინის საზომ–საწყაოების ზოგიერთი თავისებურებანი

საქართველოში ძველთაგან გავრცელებულ საზომ–საწყაოებიდან განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა სითხის საზომები. მათ დიდ ნაწილს საზომ–საწყოები შეადგენდა.

საქართველოს ფეოდალური დაქსაქსულობა აფერხებდა საწყაოთა უნიფიკაციას და ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ლოკალურ საწყაოთა არსებობისათვის. განსაზღვრულ არეალზე გავრცელებული, ურთიერთდაყოფადობის პრინციპით დაკავშირებული საწყაოები ქმნიდა საწყაოთა ლოკალურ სისტემებს.

ცნობილია, რომ საუკუნეთა მანძილზე ძირითად საზომ–საწყაოთა განსაზღვრა საქართველოში ლიტრის ოდენობას ემყარებოდა. ლიტრა გამოიყენებოდა როგორც ასაწონ ნივთიერებათა საზომი, აგრეთვე როგორც საწყაო სითხისა და მარცვლეულისათვის. ს. ს. ორბელიანი სითხის საწყაოებს კოკასთან მიმართებაში განიხილავს, ხოლო თვით კოკის ოდენობა ლიტრებით აქვს განსაზღვრული. საწყაოები მის ლექსიკონში სიდიდის მიხედვით არის დალაგებული და გარკვეულ სისტემას ქმნის. საბასეული სისტემა რაოდენობით მიმართებას ამყარებს როგორც ერთი განსაზღვრული არეალის ფარგლებში მოქმედ, ისე ერთმანეთისაგან ტერიტორიულად დაცილებულ არეალებში გავრცელებულ საზომებს შორის.

სისტემაში შემავალი ყოველი ერთეული წინარეზე ორჯერ მეტია და მომდევნოზე ორჯერ ნაკლები.

XVIII საუკუნიდან ლიტრის გამოყენების სფერო თანდათან იზღუდება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სითხის საზომი ერთეულის ადგილი ლიტრის ნაცვლად თუნგმა დაიკავა. თუნგი, სანამ ის ლიტრის ადგილს დაიკავებდა, ლიტრის გვერდით იხსენიებოდა დასტურლამალში. ამ დროს იგი თავისი ოდენობით მცირედით მაინც განსხვავებული უნდა ყოფილიყო ლიტრისაგან (ივ. ჯავახიშვილი). რამდენადაც სითხის საწყაოთა საბასეულ სისტემაში ერთმანეთთან ზუსტი რაოდენობითი თანაფარდობით დაკავშირებული საზომ–საწყაოებია გაერთიანებული, თუკი მივიღებთ, რომ თუნგი არცერთი მათგანის ტოლი არ იყო, მაშინ მას შუალედი ადგილი უნდა სჭეროდა ორ საზომს შორის და ერთგვარად „ამოვარდნილი" უნდა ყოფილიყო ხსენებული სისტემიდან. აღნიშნული გარემოება გასაგებს ხდის საბასეული სისტემის მიღმა თუნგის დატოვების ფაქტს.

ცვლილებებმა, რომლებიც ღვინის საზომ–საწყაოებმა XIX საუკუნეში განიცადეს, გარკვეული ასახვა ჰპოვა კავკასიის კალენდარში გამოქვეყნებულ ცხრილებში. ზოგიერთი ამ საზომ–საწყაოს ეთნოგრაფიის ფაქტი საველე მასალით დგინდება.

ნინო ღამბაშიძე

თხისა და ცხვრის ეგზეტიკა

შესაწირავებზე მრავალი თქმულა და დაწერილა. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მსხვერპლშეწირვა რელიგიური თაყვანისცემის ცენტრალური რიტუალია. ჩვენი მიზანია ეს კარგად შესწავლილი საკითხი ოდნავ განსხვავებული რაკურსით განვი-

ხილოთ. რელიგიური სინკრეტიზმის შესწავლა მკვლევარის წინაშე აღმსარებლობითი ხასიათის გამიჯვნების აუცილებლობას აყენებს. იმის გასარკვევად, თუ რომელი რელიგიური სისტემის კუთვნილებას წარმოადგენს შესაწირავი (ჩვენს შემთხვევაში თხა და ცხვარი), რომელიც ფაქტიურად ყველა ხალხის რიტუალში გვხვდება, ვფიქრობთ საჭიროა მათი სპეციფიკური და კონკრეტული თეოლოგიური გააზრების ცოდნა. ჩვენი აზრით, ამგვარი ცოდნა ხელს შეუწყობს და დაგვეხმარება ქრისტიანულის, წინაქრისტიანულის თუ სხვა აღმსარებლობითი სისტემების გამიჯვნას. ვინაიდან ქრისტიანული სწავლება ცხოველთა შესახებ ვრცელი საკითხია, შევეცადეთ ცხვრისა და თხის ეგზეგეტიკით შემოვფარგლულიყავით და ყურადღება მათ ბიბლიურ გააზრებაზე შეგვეჩერებინა.

ქრისტიანობაში არ არსებობს წმინდა და უწმინდური ცხოველები. ყოველი ცოცხალი არსება ნაკურთხია ღვთისაგან. მხოლოდ ზოგიერთი ცხოველი, აზრის მკაფიოდ გამოსახატად, ბიბლიაში მხატვრული შედარების სახით მოიხმობა და ამდენად ენიჭება დადებითი ან მკვეთრად დადებითი, უარყოფითი ან მკვეთრად უარყოფითი მნიშვნელობა. შესაძლოა ერთი და იგივე ცხოველი ერთ შემთხვევაში უარყოფითი მნიშვნელობის მქონე იყოს, სხვა შემთხვევაში კი დადებითის, როგორც ეს სიმბოლოსთვისაა დამახასიათებელი.

ცხვრისა და თხის ეგზეგეტიკას ჩვენ ბიბლიური დროის ქრონოლოგიურ ჭრილში განვიხილავთ, ანუ: ძველ აღთქმაში, ახალ აღთქმაში და ესქატოლოგიურ დროში. ადამიანს და ცხოველს დიდი მსგავსება აქვთ. ისინი ორივენი მიწისგან შეიქმნენ, აქვთ სამშვინველი და ორივენი მოკვდავები არიან. ხშირად მათ ერთი სიტყვით გამოხატავენ: „ცხოვარნი". ადამიანს ცხოველებისაგან განსხვავებით გააჩნია სული, რითიც ის უსხეულო ძალებს ჰგავს და მათთან შედარებით სულ მცირედ არის დამცრობილი. ადამიანს მუდმივი სულიერი ზრდის უნარი გააჩნია ანუ საშუალება დაუახლოვდეს ზეციურ ძალებს და ღმერთს, რაც არა აქვთ ცხოველებს. ადამიანის ცხოველზე

უპირატესობა იმითაც გამოიხატება, რომ ცხოველებს სამოთხეში სახელებს ადამიანი არქმევს. ადამიანი ღმერთმა სამოთხის გვირგვინად გააჩინა, ყოველივე მის სამსახურში ჩააყენა. ქვეყანაზე ადამიანის მეფური მდგომარეობა გამოიხატება მის მეუფებაში ცხოველურ და მცენარეულ სამყაროზე. ხოლო წმ. წერილის მიხედვით, ადამიანის გაცხოველება მისი სულის ღვთისადმი ამბოხს, მასთან დაპირისპირებას ნიშნავს. ხოლო მძვინვარე ცხოველი, რომლითაც ბუნებაში დისჰარმონია და დაპირისპირება იჭრება, ადამიანის წინააღმდეგ ამხედრებული ბუნებაა. ამგვარი დისჰარმონია ადამიანის დაცემის შედეგია. ცოდვამდე ყველა ცხოველი ადამს ემორჩილებოდა, ცოდვის შემდეგ კი ისინიც ადამიანებივით ხრწნადები გახდნენ. ბოლო ჟამს, როდესაც ქვეყანა განიწმინდება მძვინვარე ცხოველები ან აღარ იქმნებიან, ან მშვიდობიანები გახდებიან.

ცხოველების საყოველთაო დაყოფა წმინდანებად და უწმინდურებად იუდაიზმში კაცობრიობის ორად გაყოფას შეესაბამებოდა: წმინდა ისრაიტელებად და უწმინდურ წარმართებად, რასაც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდებოდა საკვები. ამგვარ ღრმა დაპირისპირებას სპობს წმ. პეტრეს ხილვა, აერთიანებს ყველა ხალხს, რითაც ხაზს უსვამს ეკლესიის ერთიანობასა და საყოველთაობის იდეას.

თავიდანვე, ღვთის კურთხევის შედეგად ცხოველები ღირსნი გახდნენ მსხვერპლად შეწირვის, რითაც ახალ აღთქმას მოასწავებდნენ. ისრაელიტელებს მსხვერპლშეწირვის აქტში სრული სულიერი მონაწილეობა უნდა მიეღოთ. მსხვერპლ-შეწირვა მომავალი სამუდამო ნეტარების იმედს გამოხატავდა. სამუდამო გამოსყიდვა კი იაჰვეს მსხვერპლს, იესო ქრისტეს შე-ეძლო, მსგავსად დასაკლავად მიყვანილი კრავისა. მსხვერპლ-შეწირვაში მორალური მხარე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რიტუალი. რიტუალები თვალსაჩინო გამოხატულებაა შინაგანი გრძნობების: თაყვანისცემის, ღმერთთან სიახლოვის, საკუთარი ცოდვების აღიარების და მიტევების სურვილის. იაჰვე უარყოფს ადამიანურ მსხვერპლს, ცხოველი მისთვის მისაღებია. ამგვარი ძღვენი კი მაშინ ხდება სასურველი, როდესაც ადამიანს მთელი

გულით, რწმენით შეუძლია მისი გაღება. მსხვერპლშეწირვა განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის გარეშე უაზრო და პირმოთნე, ფარისევლური ქმედება ხდება.. შინაგანი მსხვერპლშეწირვა გარეგნულის ანუ რიტუალის არსია. ზოგჯერ მას მთლიანად შეუძლია შეცვალოს რიტუალი. ხოლო კაცობრიობის განტევების მსხვერპლი, „ძე ღვთისა" უფრო სრულყოფილი იქნება ვიდრე „განტევების ვაცი", რომელსაც ისრაელის ცოდვები მიჰქონდა უდაბნოში. ქრისტეს ახალი რეალობა მოაქვს. მისი სიკვდილი სრული, აფსოლუტური სისხლია. იგი თავის თავში მოიცავს ყველა სახის იუდაურ მსხვერპლს და ყოველ მათგანზე დიდია.

თხა ცხვართან ერთად აღთქმის დადების რიტუალში იწირება. იმ გადამწყვეტი აღთქმისას, რომელზედაც აიგო და რომლიდანაც დაიწყო ისრაელის ისტორია.

ფესახში თიკანი კრავის ტოლფასი შესაწირავია. ისინი ღმერთთან ერთობის გამომხატველნი არიან, მათი სისხლი კი განწმენდის, გამოხსნის სისხლია.

თხა ძველ აღთქმაში ცოდვების გამოსყიდვის განსაკუთრებული შესაწირავი იყო.

თხა ბიბლიაში ხატოვანი სახეების გამოსახატავად იხმარება.

თხა და ცხვარი ებრაელთა სამეურნეო ყოფაში უმნიშვნელოვანესი წვრილფეხა საქონელი იყო.

ცხვარი ფართოდ ფიგურირებდა იუდაურ შესაწირავებში, რომელთა სახეები მოკლედაა განხილული მოხსენებაში.

მწყემსისა და ცხვრის სახისმეტყველება ძველი აღთქმიდან მომდინარეობს და ახალ აღთქმაში განსაკუთრებულ სიმაღლემდეა აყვანილი. განხილულია ახალი აღთქმის მწყემსი კეთილისა და კრავის მხატვრულ–სიმბოლური სახე.

მესია ძველ აღთქმაში სიმბოლურად რიტუალურ მსხვერპლთამან: კრავთან და ცხვართანაა გაიგივებული.

ცხვარი ძველ აღთქმაში ვერძისა და ერკემლის სახით წინასწარმეტყველთა ხილვებში ჩნდება.

ცხვარი და თხა ახალ აღთქმაში გარკვეულ სიმბოლურ, უფრო სწ

ორედ, მხატვრულ გააზრებას იძენს, კერძოდ, ისინი საშინელ სამსჯავროზე საუბრისას გვხვდება.

კრავი, ტარიგი ახალ აღთქმაში ჩვენთვის მსხვერპლად შეწირული ქრისტეა. კრავის სიმბოლიკა განსაკუთრებით აპოკალიფსში იჩენს თავს.

ძალზე მნიშვნელოვანია სისხლის სიმბოლურ–რელიგიური მნიშვნელობა, რომელიც მსხვერპლშეწირვის განუყოფელი ნაწილია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ხიდაშელი – ხელოვნება ტრადიციულ კულტურაში.....3
გ. ალასანია – დავითის ისტორიკოსის ერთი ცნობის
შესახებ.....4
გ. ჩანტლაძე–ბაქრაძე – ბასკური ელემენტი ლათინური
ამერიკის ქვეყნებში.....7
ა. დაუშვილი – ახალი საარქივო ცნობები
ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიისათვის.....9
ხ. ქოქრაშვილი – საქართველოს ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმიდეს
სინოდში (1906 წ.).....11
ა.სონღულაშვილი – ქურთების ყოფა–ცხოვრება XX ს–ის
20–იანი წლების საქართველოში.....14
ა. ლეჟავა – კიევის სამხედრო აჯანყება 1907 წლის 4 ივნისს
და მასში ქართველთა მონაწილეობის შესახებ.....15
ნ. ბრეგაძე – აგრარული დღეობის შესწავლისათვის
(თედორობა).....17
მ. შილაკაძე – მატერიალური მუსიკალური
კულტურის მონაცემები ეთნიკური ისტორიის
შესწავლისათვის.....18
ნ. ბერიაშვილი – სოციალური ეკოლოგიის
თანამედროვე პრობლემები.....19
ნ. მინდაძე – ქართული ხალხური სამედიცინო
კულტურის ჩამოყალიბების ირთი ასპექტისათვის.....21
მ. ბურდული – ხალხური მედიცინა XIX ს–ის
II ნახევრის ქართული პრესის მიხედვით.....22
მ. ქანთარია – ტრადიციული ყოფითი კულტურის
ისტორიული დინამიკა საქართველოში.....23
ლ. გაბუნია – ქართული ღვინის საზომ–საწყაოების
ზოგიერთი თავისებურებანი.....25
ნ. ღამბაშიძე – თხისა და ცხვრის ეგზეკეტიკა.....26

Contens

Khidasheli Marina. Art in traditional cultures.....:.....3
Alasania Giuli. On One information of David's historian.....4
Chantladse-Bakradse Greta. Basque element in the countries of Latin America.....7
Daushvili Alexander. New archival data for I. B. Stalin's biography.....9
Kokrashvili Khatuna. The question of restoration of Georgian Charch's authocephaly in the Holy Cinode of Russia (1906).....11
Songulashvili Avtandil. Being of Kurds in 20ies of XIXth century in Georgia.....14
Ledjava Anton. 1907 4 June Kiev military rebellion and the participation of Georgians in it 15
Bregadze Neli.On the study of the agrarian festival („Tedoroba").....17
Shilakadze Manana. Material musical culture's date for study of ethnical history.....18
Beriashvili Lian .Contemporary problems of sotial ecology.....9
Mindadze Nunu. On one aspect of forming the Georgian folk medicine culture.....21
Burduli Medea. Folk medicine according to the Georgian press of second half of XIXth century.....22
Kantaria Medea. Historical dynamics of traditional culture of being.....23
Gabunia Levan. Some peculiarities of measuring Georgian vines.....25
Gambashidze Nino. The Exegesis of sheep and goat.....2